ცნობის ფურცელი

№ 1780 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 13 აპრილი № 1780

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—1? კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

განუზომელის მწუხარებით აცნობებს ნათესავებს და ნაცნობებს **დეკანოზი კონსტანტინე** და შვილები მათი **ნოე, ვლადიმერ, აკაკი** და **მაკარი კანდელაკები** გარდაცვალებას

მართა ქილარჯანიას ასულის კანდელაკისას,

პირველი მეუღლისას და მეორენი დედისას. რომლის გამოთხოვების დღე დანიშნულია აპრილის 16 დღეს, შუადღის თორმეტ საათზედ, დაბა ლანჩხუთში, საკუთარ სახლში.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. მ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274 (წო.)

ბათუმში

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

სასტუმრო „ორიენტალ“

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის, პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(615—9) სასტუმროს პატრონი **ე. ზერმენიშვილი**

ივანე როსტომაშვილის

სამეურნეო სასწავლებელში

სწავლა დაიწყო 2-ს აპრილს. არის კიდევ 15 ვაკანსია. მთხოვნელებმა მოგვმართონ: Въ Тифлисъ, Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. пер. № 20). (10—298—2)

ქართული თეატრი

ბედნიერ დღეებში, აღდგომის კვირას

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

გაიმართება სამი წარმოდგენა

დაკლებულის ფასებით

პირველი—ორშაბათს, 15 აპრილს

ქართველი დედა

ისტ. დრამა 4 მოქ. გადმოკ. ა. ცაგარლის მიერ.

მეორე—ხუთშაბათს, 18 აპრილს

კონსტანტინე ბატონიშვილი

(ქეთევან წამებული)

ისტ. დრამა 5 მოქ. და 6 სურ. ა. ყაზბეგისა.

მესამე—კვირას, 21 აპრილს (კვირა-ცხოვლობას)

ლეკის ქალი გულჯავარ

ისტ. დრ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.

მსხვერპლი მსხვერპლისათვის

თანამედროვე დრამა 3 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, რჩეულოვისა და სხ.; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, იორდანოვი, საფაროვი, სიმონიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია:

პარტერი 50 კაპეიკიდან 1 მ. 50-მდე, ლოჟები 3 მან., გალერეია—20 კაპ., კუპონები ლოჟებში—80 კ., შეგირდებისათვის ადგილები—40 კაპ.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 12 აპრილს, შემახიდან დაბრუნდნენ ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. **გოლიცინი** და მისი კანცელარიის დირექტორი ტროფიმოვი.

◆ მთავარ-მართებელმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება შესახებ 70,000 მანეთის სესხის აღებისა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის კონსულის ქუჩაზე სახლის ასაგებად.

მთავარ-მართებელმა მისწერა გუბერნატორს წინადადება მისცეს ტფილისის გამგეობას განიხილონ საბჭოში საკითხი, შესახებ იმისა, რომ დაუბრუნდეს ხაზინას ის მიწები ნავთლუღისა, სადაც ნავთია, რადგან, როგორც ქაღალდებიდან სჩანს, ხაზინამ 1846 წ. გარდასცა ეს მიწები ქალაქის შემოსავლის გასაძლიერებლად, მაგრამ ქალაქი აქამდე არაფრით არა სარგებლობს.

◆ ხუთშაბათს, 18 აპრილს, დანიშნულია ტფ. **ხმოსნების კერძო კრება** გამგეობის მე-4 წევრის კანდიდატის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ გუშინ ქალაქის თავის მოადგილემ შესტაკოვმა და გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა დაათვალიერეს „სოლდათის ბაზარი“ და აღმოაჩინეს, რომ **სანიტარო და საპოლიციო ზედამხედველობა** ნაკლებია; ამიტომ განკარგულება მოახდინეს ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

◆ ოთხშაბათს, 10 აპრილს, მოხდა სხდომა სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტისა, რომელსაც დაესწრო პეტერბურგელი ხუროთ-მოძღვარი კრიჩინსკი. სხდომაზე გადაწყდა ტფილისის **სახალხო სახლის** პროექტის შედგენა მიენდოს ხსენებულს ხუროთ-მოძღვარს, სახლის აშენება-კი ადგილობრივს ხუროთ-მოძღვარს რაგოისკის.

◆ ტფ. საქალაქო გამგეობამ და განსაკუთრებულმა კომისიამ შეერთებულს სხდომაზე დაადგინეს გადასინჯონ **ხორცის** ახლანდელი **ნიხრი** და მოახდინონ საცდელი დაკვლა საქონლისა. ამასთანავე სხდომაზე გადაწყდა, რომ რადგანაც ხორცის კრიზისი კიდევ მოსალოდნელია, ქალაქის მიერ ნაყიდი საქონელიც მიჰყიდონ, როდესაც საჭირო იქნება, მეყასბეებს. სხდომამ სურვილი გამოაცხადა, რომ ახლავ შეუდგნენ მზადებას კიდევ ორის საქალაქო დუქნის გახსნის შესახებ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს, ბ. ივანოვსკის, ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ რკინის გზის მოხელე-მსახურთ, რომელნიც ავად არიან, **გვიან ჰგზავნიან საავადმყოფოებში.** რკინის გზების უფროსს განკარგულება მოუხდენია, როგორც-კი გახდება ვინმე ავად, მაშინვე დაბარებულ უნდა იქმნას ექიმი ან ფელდშერი, რომელმაც პირველად ყოვლისა უნდა გადაწყვიტოს—გასაგზავნია თუ არა ავადმყოფი საავადმყოფოში.

◆ ტფ. საქალაქო გამგეობამ მისწერა განსაკუთრებულს კომისიას ეხლავ აირჩიოს ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა, რომელსაც, საბჭოს დადგენილების თანახმად, რუსეთის კრიტიკოსის **ბელინსკის** სახელი უნდა ეწოდოს.

◆ **სოფ. კუხიდან** ამბავი მოვიდა, რომ იქ ამ თავის 6 რიცხვს წლიური კრება იყო დანიშნული ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა, მაგრამ ეს კრება არ მოხერხდა, თუმცა ამხანაგობის წევრთ საკმაოდ შეიყარეს თავი. ამის მიზეზად სოფლის მამასახლისს ასახელებენ: როცა საზოგადოებამ თავი შეიყარა, მოსულა მამასახლისი და გამოუცხადებია—ვერ მოგცემთ ნებას კრება შეადგინოთ, რადგან გუბერნატორის განკარგულებით ყოველივე შეკრებილება აკრძალულიაო. კრებაც ამიტომ დაიშალა.

◆

რუსეთის ქრონიკა

◆ სენატის ახსნით, საქალაქო თვითმმართველობამ უნდა გადასწყვიტოს საჩივარის აღძვრა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილების გამო არა უგვიანეს საბჭოს პირველ მორიგ სხდომისა; ასეთ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას კი კანონით ვადა არა აქვს დანიშნული.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრს, დ. ს. სიპიაგინთან ერთად მინისტრის მკვლელმა დასჭრა ხელში და მხარში მინისტრის მსახურიც. იგი ეხლა საავადმყოფოშია, საიდანაც მალე გამოიწერება.

◆

ძველი და ახალი შეხედულება საერო წოდების პირთა სამღვდელოებაზე და საშუალებანი ამ შეხედულების საუკეთესოთ შეცვლისა

(წერილი რედაქციის მიმართ)

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს წერილს, რომელსაც საგნად აქვს მიაქციოს ქართველ სამღვდელოების ყურადღება ზოგ მისთვის მწვავე კითხვებზე.

როგორც ვიცით, წმ. ტრაპეზის მსახურნი ადრიდანვე დიდათ პატივცემულნი ყოფილან ერის კაცთა ქრისტიანეთაგან. მათ ხშირათ მოუთმენიათ შეურაცხება, წამება და თვით სიკვდილიც არა-ქრისტიანეთაგან, განსაკუთრებით, როდესაც რომელიმე მათგანი უჩვენებდა მათ უპირატესობას ქრისტიანობისას და ნაკლულევანებას მათი სჯულისას; მაგრამ სამაგიეროთ მათ ამხნევებდა ქრისტიანების მათთან სინატრელი განწყობილება და პატივისცემა. ქრისტიანები აძლევდნენ მათ საშუალებას სასმელ-საჭმელისა, ჩაცმა-დახურვისა და საცხოვრებელი ბინის მოპოებისას და არა თუ ძველათ, ქრისტიანობის პირველ ხანებში, ამ ბოლოს დრომდისაც გაცილებით მეტი პატივი ჰქონდა სამღვდელოებას საერო პირთაგან, თუმცა ამ რამდენიმე წლის წინად სამღვდელოების უმეტესი ნაწილი შინაურულად გაზრდილი იყო და ნასწავლი მღვდელი ასში ერთი თუ გამოერევა.

მახსოვს ამ ოცი-ოდე ხუთი წლის წინათ მღვდლებს ბევრად მეტი გავლენა ჰქონდათ მრევლში, ვინემ ეხლა. იმათი აზრი და შეხედულება სასულიერო და საცხოვრებელ საგნებზე, შემცდარი რომ ყოფილიყო, ყველას უტყუარ ჭეშმარიტებად მიაჩნდა; იმიტომ ადასრების დროს გადაწყვეტილი კანონი ყველას საყოველთაოდ მიაჩნდა და მის შესრულებას ცდილობდა; ყველა მორიდებული იყო მღვდლის საწყენ საქმეს და მოწადინებული უფრო პატივისცემას, მის ნივთიერათ უზრუნველ-ყოფას, რასაკვირველია, იმ რწმენით, რომ ის იყო საზოგადო სულიერი მამა და ყველასათვის ერთგული მლოცველი ღვთის წინაშე. სასოება მღვდელზე იმ ზომით დიდი იყო, რომ კარგი ნასწავლი და თანამდებობის კაციც არ ითაკილებდა უბრალო სოფლის მღვდლისაგან შენდობა მიეღო. მღვდლის მიბრძანება ოჯახში ყველასათვის დიდი სასიამოვნო იყო. ქრისტეს აღდგომა ხომ დღესასწაულთა დღესასწაული და ისეთი დღეა, რომელიც ერთნაირის სიხარულით აღავსებს ყველას, მაგრამ ამ დღესაც კიდევ უფრო სასიხარულო დღეთ ხდიდა მღვდლის კრებულის მიბრძანება თითეულს ოჯახში და დღესასწაულის მილოცვა.

არ დამავიწყდება სიკვდილამდის ის გულუბრყვილო სიხარული, ის აღფრთოვანება სასოებისა, რომელსაც ჩემი გული გრძნობდა ხოლმე ბავშვობისას, როდესაც დღეთ აღდგომას, ან მეორე დღეს, მღვდელი ოლარ დადებული და ხელში ჯვრით კრებულიანად მობრძანდებოდა ოჯახის განსანათლებლად და ეზოს კარებიდანვე დაიწყებდა ამ სასიხარულო საგალობელს: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა!“ მღვდელი წმ. წყლით მოასხურებდა სახლს, ასხურებდა ოჯახის თითეულ წევრს და წაუკითხავდა ლოცვას შეგინებულის მჭამელისას. ყველანი პატივს სცემდნენ, რითაც შეეძლოთ. თუ მღვდელს ცოტა თავისუფლებაც ჰქონდა, ის დაბძანდებოდა და მის გარშემო შეგროვდებოდა ოჯახის ყველა წევრები, რომლებთანაც საუბრობდა, მხიარულებდა. მღვდელსა და მრევლს შორის არ იყო ის ოფიციალური დამოკიდებულება, რომელიც ეხლა ემჩნევა ჩვენში. მღვდელი თავისი ოჯახობით მრევლის თითეულ ოჯახთან და ეს უკანასკნელნი მღვდლის ოჯახთან გრძნობდნენ რაღაც განუწყვეტელ კავშირს, რაღაც შემაერთებელ ძალას. აქ ყველა თავისიანათ თვლიდა ერთი მეორეს და ერთმანერთს სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ასეთი ქრისტიანული დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ მღვდელი და მრევლი ერთმანეთის მუდამ კმაყოფილი იყო, მღვდელზე საჩივარი იშვიათ მოვლენას შეადგენდა, რადგან მღვდლის შეწუხება ყველას ღვთის შეწუხებად მიაჩნდ. ერთს კიდეც რომ ვისმე გაებედა მღვდელზე საჩივარი, ათასი ასე დაგმობდა: „რა გრჯის მღვდლის საჩივარს, ჩვენი სულიერი მამაა, ყველასთვის მლოცველი, ღვთის ენა-პირი ხელში უკავია“. ასეთი სიტყვების შემდეგ მომჩივანიც შეიკდიმებდა, მღვდელს შეურიგდებოდა და ისევ მისი ერთგული და მორჩილი მოწაფე შეიქმნებოდა. დღეს კი ამის მსგავსს ვეღარავერს ვხედავთ. მღვდელსა და მრევლს შორის დამყარდა უმეტეს ნაწილად რაღაც მტრული დამოკიდებულება. თანდათან ისპობა მრევლსა და მღვ-

დღეს შორის ის შემაერთებელი სანატრელი ძალა და მათ ძალაუნებურად ახლოვებს ხანდახან მიუცილებელი მღვდელ მოქმედების საჭიროება. ისე კი იგინი განცალკევებულნი არიან. თუ დღეს ზოგიერთი მღვდლები ძველებურ ჩვეულებას არ იშლიან და აღდგომის დღესასწაულზე მრევლში დადიან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ის აღარავისთვის არის სანატრელი სტუმარი და ხელს მხოლოდ ზრდილობის დაცვისთვის არ უქნევენ.

მღვდლის ნივთიერ მდგომარეობაზე დღეს ერის კაცი სრულებით არ ფიქრობს და ხშირათ გაიგონებთ ამ საზიზღარ სიტყვებს: „ნეტავი თქვენ, მკვდარი თქვენია და ცოცხალი!“ თუ მღვდელსაც ოდესმე შეხვდება ნაკლულევანება ფულისა, ან სარჩო-საბადებელისა, ამას ერისკაცი არ წარმოიდგენს. თუ შემთხვევით აზნაურის ჯვრის-წერაზე დაესწრო და სასიძოსაგან მიცემული ოცდა-ხუთიანი დაინახა მღვდლის ხელში, მაშინ ხომ იქვე ერთი მითქმა-მოთქმა შეიქმნება ხალხში: „ნეტავი მღვდლებს, იმათთანა უფიაში დუბერნატორი არ არის, ერთ საათში ოცდა-ხუთ მანეთს დებულობენ!“ იმას კი არ ფიქრობენ, თუ ოცდა ხუთი მანეთის ერთად აღებას სოფლის მღვდელი წელიწადში შეიძლება მარტო ორჯერ-სამჯერ შეხვდეს. რადგან მღვდლების სიყვარული და მათგან შესრულებულ სიდუმლოებზე სასოება შესამჩნევად შესუსტდა, ამიტომ უკვერლად და უდავიდარაბოთ ის ვიდარაფერს დებულობს. ხშირად 5—6 მან. მაგიერ მღვდელს მარტო 2—3 მან. აძლევენ და თუ არ დაჯერდა—საჩივარიც მზათ არის. ასეთი საჩივრების გამოძიება-გამოკვლევას ვეღარ აუდიან სასულიერო გამომძიებლები, მათი თანაშემწეები და ბლაღოჩინები. ხშირათ ზოგიერთები სულ ერთი ორი მანეთის საქმისათვის უჩივიან თავის სულიერ მამას და ამ საჩივრისათვის არ ზოგავენ არც ცდენას, არც ხარჯს, არც თავის საკუთარ სულს, რადგან მომჩივანი მზათაა სიცრუეზე დაიფიცოს და დაათფიცოს მრავალი მოწმეები. საკმაოა ერთმა ვინმემ უღვთო, მაგრამ სოფელში გავლენიანმა, კაცმა გულში ჩაიდოს მღვდლის საჩივრით შეწუხება, რომ მან საჩივარზე ხელი მოაწეროს და სოფელი მთლად მტრად უქციოს მღვდელს. საჩივარი მღვდელზე უმეტეს ნაწილათ გამტყუნებული რჩება, მაგრამ რაც უნდა იყოს, მამაშვილობა მღვდლესა და მრევლს შორის კიდევ უფრო სუსტდება. ასეთი არა სასიამოვნო დამოკიდებულება მღვდლსა და მრევლს შორის, რაც დრო გადის, თანდათან ძლიერდება. რაც შეეხება ესრეთ წოდებულ ინტელიგენციის შეხედულებას სამღვდელოებაზე, აქ კიდევ უფრო გულგასატეხ სურათს ხედავ კაცი. ზოგიერთი ცრუ ნასწავლები მღვდლებს საზოგადოდ ისე უყურებენ, როგორც სრულებით უსარგებლო და ნივთიერად მაზარალებელ პირებს. გასაკვირალი კი უფრო ის არის, რომ ხალხის სიმპატია მთლად მიმართულია ისევ ხანში შესული მღვდლებისაკენ, გინდა ნასწავლი იყონ იგინი, გინდა არა. ახალგაზდა ნასწავლი მღვდლები შესამჩნევად მოკლებული არიან მრევლში თანაგრძნობა-სიყვარულს. მიზეზი ამისი კი ისევ იმავე მღვდლებში უნდა ეძიოთ. მაგალითად, ჩვენ დაგვავიწყნია მაცხოვრისაგან მოციქულებისადმი მიმართული სიტყვები: „მცნებასა ახალსა მოგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს და მაშინ მიხვდება ყველა, რომ თქვენ ხართ ჩემი მოწაფენი.“— ხშირათ ვიჩენთ ერთმანეთის შესახებ მტერობას, შურსა და ცილისწამებას. თუ რომელიმე ჩვენგანმა სამსახურით ან ნივთიერ ცხოვრებით ცოტა წინ წაიწია, მაშინვე შური შეგვიპყრობს და არავითარ საშუალებას არ ვზოგავთ ერთმანეთის დამარცხებისთვის. ამისი მაგალითები ახალგაზდა სამღვდელოებაში მრავალია. ამ შემთხვევაში განა გასაკვირველია, რომ ჩვენი ქადაგება იმათ მოყვარეობის შესახებ ერის კაცმა ამ სიტყვებით შეგვაწყვეტინოს: „რატომ თქვენ, მღვდლებს, თითონ არ გიყვართ ერთმანეთი? მოგვსპოთ ასეთი ხასიათი ჩვენში; შეგვიყვარეთ ერთმანეთი ნამდვილ ძმებივით, ხოლო ჩვენი სულიერი შვილები—ნამდვილ შვილებივით.

ბევრ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიჩენთ მტრისა და მოყვრის, ავისა და კარგის გარჩევის უნარს. ხშირად გუნდრუკს ვუკმევთ და ვაჯილდოვებთ ისეთ პირებს, რომელთაც არც ნიჭი შესწევთ და არც ხალისი რაიმე საქრისტიანო გააკეთონ, ხოლო ვდევნით ისეთ პირებს, რომლებიც თავისი ნიჭით, შრომითა და გამოცდილებით ხელმძღვანელობას გვიწევენ ჩვენი მოვალეობის შესრულებაში და ხელს უწყობენ ჩვენი მდაბიო ხალხის ზნეობისა და გონების წინ წაწევას. დარწმუნებულიც რომ ვიყოთ ასეთი პირების მოქმედების სარგებლობაში, ჩვენ მაინც მტრულად ვუყურებთ მას და მის ღვაწლს არაფრად არ ვაგდებთ. ამას უბრალო ხალხიც ხვდება და ამიტომ ჩვენ უფლება აღარ გვაქვს იმას ავ-კარგის გარჩევის შესახებ ვესაუბროთ. ნუ ვიზამთ ასე: კეთილი მისწრაფება კაცში დავაფასოთ და წავაქეზოთ, ხოლო ბოროტება დავგმოთ და მის მოსპობას ვეცადოთ.

ჩვენ მდაბიო ხალხში ბევრი ამაოდ მორწმუნეობა და ცუდი ჩვეულება არის გავრცელებული. ამ ბოროტებათა წინააღმდეგ გონივრულათ უნდა აღვიჭურვოთ და ყველამ თანხმობით უნდა ვიმოქმედოთ, თორემ რა გამოვა, როდესაც ერთი ჩვენგანი ცდილობს რაიმე ცუდი ჩვეულების მოსპობას და მეორე კი იქვე, მახლობელ მრევლში როგორც სიტყვით, ისე საკუთარი მოქმედებით, ხელს უწყობს მის გაძლიერებას. ამ შემთხვევაში ათასი რომ ვუქადაგოთ ხალხს ცუდი ჩვეულების მოსპობის შესახებ, ის არას დაგიჯერებს და, პირ იქით, გამტყუნებას მოინდომებს ამ საგანზე ჩვენივე მეზობელ მღვდლის შეხედულებით.

სავალდებულოდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ თითოეულს ჩვენგანს ჰქონდეს გამართული საეკლესიო სკოლა და მასთან უნდა ვცდილობდეთ მათში საქმის რიგიანად წაყვანას. ამ სკოლების წყალობით ხალხში გავრცელდება წერა-კითხვის ცოდნა, სასარგებლო წიგნების კითხვის სურვილი, ახალთაობა შეითვისებს საუკეთესო აზრებს და საზოგადოება ნელ ნელა გაუმჯობესდება როგორც ზნეობრივ-გონებრივად, ისე ქონებრივადაც. შეიძლება ჩვენს კეთილ-მისწრაფებას შემწეობის ნაცვლად ბევრმა ხელიც მოუშალოს, მაგრამ ჩვენ არ უნდა შევშინდეთ და საქმეს გული არ უნდა აუცრუოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთვის განხორციელებული ქრისტე ღმერთი და მთლად მისი მოქმედება უმაღლესი იდეალი იყო სათნოებისა, მაგრამ კაცთა სიბოროტემ ისიც არ დაათვალა და ის შემთხვია, რაც ყველა ჩვენგანმა იცის. ჩვენ კი ამ შემთხვევაში, ხელსაც რომ გვიწყობდნენ, მაინც ხშირად დაუდევნელობას ვიჩენთ და მით ჩვენსავე თავს პატივსა და სახელს ვუკარგავთ საზოგადოების თვალში.

დღეს საზოგადოება ჩვენგან მეტს მოითხოვს, ვინემ ძველის, შინაურათ აღზრდილის მღვდლისაგან. მდაბიო ხალხი ხშირად მოგვმართავს ხოლმე სასულიერო და სახორციელო შინაარსის კითხვების განსამარტებლად და ჩვენ ვერ ვიძლევით ჯეროვან პასუხს, რაიცა მას ჩვენზე ნდობას უკარგავს. ამის უმთავრეს მიზეზად კი მე ის მიმაჩნია, რომ ჩვენ დაცილებული ვართ თანამედროვე ცხოვრებას, რადგან ძლიერ ნაკლებად ვეტანებით სასულიერო და საერო წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას, არ ვცდილობთ თვით-განვითარებაზე და კმაყოფილნი ვართ იმ მცირე სწავლით, რომელიც ოდესმე სასწავლებელში შევიძინეთ და რომელიც, რაც დრო მიდის, თანდათან გვავიწყდება. მღვდლის ოჯახში იშვიათად ნახავთ რიგიან წიგნებს და ჟურნალ-გაზეთების ნომრებს. თუ ვისმე ჩავივარდა შემთხვევით ხელში რომელიმე წიგნი, ის ისე დაობდება სადმე ყურეში ფურცლებ დაუჭრელი, რომ ფიქრად არ მოგვივა მისი გადაფურცვლა და გამზეურება. საუბედუროდ, ეს სიტყვები უმეტესობას შეეხება ჩვენი ნასწავლი სამღვდელოებისას და ვისაც არ შეეხება, ის ადვილი საცნობიც არის. მაშ რა არის მიზეზი, თუ არა ერთის მუყაითობა და მეორის დაუდევნელობა, რომ ერთი და იმავე სასწავლებლიდან გამოსული პირები ისე ცხადად განირჩევიან ხოლმე ერთი მეორისაგან ყველა საგნების ცოდნით, ზნეობით და მიმართულებით? ერთს ხომ მთლად დავიწყებია ნასწავლი საგნები, წიგნი თვალით დასანახად ეჯავრება, ყველაფერში უგრძნობლობას იჩენს, მარტო საკუთარი სარგებლობა ახსოვს და ამ შემთხვევაში არ დაერიდება არავითარ უზნეო საშუალებას; მაგიერად მეორე ცდილობს ცოდნა გაიმრავლოს კარგი წიგნების კითხვით, ჟურნალ-გაზეთების კითხვის საშუალებით კვალ-და-კვალ მისდევს თანამედროვე ცხოვრებას და ცდილობს შუქი განათლებისა მრევლშიაც შეიტანოს, ხოლო თავის სარგებლობისათვის იმოდენათ და იმნაირათ ზრუნავს, რამოდენსაც პატიოსნება მოითხოვს. გვახსოვდეს, რომ სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდება. თუ გვინდა ცხოვრებას უკან არ ჩამოვრჩეთ და სხვასი სწავლება შევიძლოთ, ჩვენ თითონ მუდამ უნდა ვსწავლობდეთ. ნუ დავივიწყებთ, რომ სასწავლებლებში ჩვენ არ მიგვიღია იმოდენი ცოდნა, რომ მითი საშუალებით დაკმაყოფილება შეიძლებოდეს და თვითგანვითარებისათვის ზრუნვა ჩვენთვის საჭირო არ იყოს.

ვეცადოთ ეკკლესიების გამშვენებას და მათში ხშირი და სასოებით ღვთისმსახურების შესრულებით მივიზიდოთ ხალხის გული. დავაარსოთ შეძლებისა დაგვარად სამრევლო სამზრუნველოები, სამკითხველო-ბიბლიოთეკები და გავმართოთ ხოლმე ხალხთან კითხვა-საუბრები სასულიერო და სახორციელო შინაარსისა. ყველა ამების რიგიანად მოწყობის შესახებ-კი მსჯელობა ვიქონიოთ საბლაღოჩინო კრებებზე.

თუ ასე ერთობით ვეცდებით ყველანი ჩვენი წმ. მოვალეობის რიგიანად შესრულებას, იმ შემთხვევაში ჩვენდამი ნდობა-სიყვარული საზოგადოებისა გაძლიერდება და ჩვენი ნივთიერი ცხოვრებაც ერთი-ორად გაუმჯობესდება, რადგან არც ისე შეუგნებელია სოფლის უსწავლელი ხალხი, რომ მან პატიოსანი შრომა თავისი სულიერი მამისა ვერ იცნას და შეძლებისამებრ კიდევაც არ დააჯილდოვოს.

მღვდელი **სიმონ ჭუმბურიძე**

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 აპრილი

პეტერბურგი. დღეს, დიდ ხუთშაბათს, ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა შვილებითურთ და დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ სასახლის პატარა ეკლესიაში წმ. საიდუმლო მიიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკლესიაში გუშინ პანაშვიდი გადაიხადეს დ. ს. სიპიაგინის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე და დეპარტამენტების დირექტორები.

„ცერკოვნი ვედომოსტებში“ გამოცხადებულია ახალი დებულება სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესახებ. ორ-კლასიანი სასწავლებლები სამხედრო ბეგარის შეღავათის მხრით მეორე ხარისხის სკოლებში ჩაირიცხება, ერთ-კლასიანი სასწავლებლები-კი—მესამე ხარისხში.

ყაზანის ეპარქიის ვიკარი იოანნე უმაღლესად დაინიშნა პერმისა და სოლიკამსკის ეპისკოპოსად.

პენზა. გუბერნატორის გრაფ ადლერბერგის შუამდგომლობით ნება-დართულია შემოწირულებით ფული შეიკრიბოს გენერალისიმუსის სუვოროვის სახელობაზე მოკშანსკის მაზრაში, საგვარეულო სუვოროვოში.

ხარკოვი. სავაჭრო ბანკის საქმეების გამოდანიშნულს სალიკვიდაციო კომისიას ამ ჟამად აქვს ერთი მილიონი და ორასი ათასი მანეთი. ვისაც ამ ბანკში ფული ჰქონდა შენახული, იმათ მომავალ მაისში დაურიგებენ მანეთზე 12 კაპეიკს. იმედი აქვთ კიდევ ორი მილიონი მანეთი მოუვიდეს ბანკს.

ვარშავა. აქაურ საერობო საკრედიტო საზოგადოებისა და მემამულეთ წარმომადგენელთ წარუდგინეს სამიწად-მოქმედო სამინისტროს პროექტი იმის შესახებ, რომ პოლონეთის მხარეს სამელიორაციო ამხანაგობანი დაარსდეს—სასოფლო-სამეურნეო ურთიერთ დამზღვევი საზოგადოებანი.

ტომსკი. იურიდიულ საზოგადოების წლიურს კრებაზე თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი კლემენტოვი, საპატიო წევრებად—სენატორები ბოროვიკოვსკი და კონი და პროფესორი ჩიჩერინი.

კურსკი. საგუბერნიო ერობას ნება მოუვიდა სახალხო განათლების საქმეთა გამოფენა გამართოს.

სიმბირსკი. ჟუკოვსკის სახელის მოსახსენებელ დღესასწაულთან ერთად ალატირი გ მართავს ბავშვებისათვის ხის დარგვის დღესასწაულსაც. რამდენიმე ქუჩას სახელოვანის მწერლების სახელები დაარქვეს.

ოდესა. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი აქედან წავიდა.

ურალსკი. გაზეთი „ურალსკი“ იუწყება, რომ ორენბურგო—ტაშკენტის გზაზე მუშებმა დაიწყეს თავის მოყრა. მუგუჯარის მთაში გვირაბის გაჭრა ზაფხულში მოხდება.

მელბურნი. ავსტრალიელ ჯარების უფროსი გენერალი დეტმონი იუწყება, რომ ადგილობრივი ჯარი სულ 15.470 კაციაო, გარედ-მდგომი—14.100. გენერალი ურჩევს მთავრობას ამ უკანასკნელ ჯარის რიცხვი 18.848 კაცამდე აიყვანოს. ამასთანავე იმასაც უნდა შევეცადნეთ, რომ ინგლისის ფლოტს მოხერხებული ადგილი მოვუპოვოთ სამოქმედოთაო.

12 აპრილი

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტროს უფროს ინტენდანტის თანაშემწე კოლოზე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა.

სახალხო განათლების მინისტრი გენერალი ვანოვსკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდინ ავადმყოფობისა გამო, ხოლო დარჩება გენერალ-ადიუტანტად და სახელმწიფო საბჭოს წევრად. სახალხო განათლები მინისტრის თანაშემწე სენატორი ტაიი სოვეტნიკი მეჩჩანინოვი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თანხმად მისივე თხოვნისა, ხოლო დარჩება სენატორისად. სახალხო განათლების მინისტრის თანაშემწე დეისტვიტელნი სოვეტნიკი ზენგერი დაინიშნა სახალხო სამინისტროს მმართველად.

პოლკოვნიკი ბერეზოვსკი დაინიშნა ამურის ბასეინის მართველობის უფროსის მოადგილედ.

„პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი გენერალი ვანოვსკის სახელზე: „პეტრე სიმონის ძევ! როდესაც თქვენ მოგიწოდეთ სახალხო განათლების სამინისტროს მმართველად, მე ვხელმძღვანელობდი იმით, რომ თქვენი ცოდნა და გამოცდილება ყრმათა აღზრდაში, რომელიც შეადგენდა ნაწილს თქვენის ხანგრძლივის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეობისას, დაგეხმარებოდათ ჩემ მიერ მონდობილ წინადადებათა განსახორციელებლად. ახლა, გადაჭარბებულ შრომით ავად გამხდარმა მომმართეთ მე, განთავისუფლოთ ჩემ მიერ მონდობილ თანამდებობიდან.

მწუხარებით ვასრულებ რა თქვენს თხოვნის შესახებ სახალხო მინისტრის თანამდებობიდამ დათხოვნისა, ამასთანავე გიცხადებთ ჩემს გულწრფელს მადლობას ჩემდამი ერთგულებისათვის, რომლითაც თქვენ ხელმძღვანელობდით, როდესაც, მიუხედავად თქვენის მხცოვანებისა, დათანხმდით გეკისრათ ისეთი მძიმე მოვალეობა. დავშთები მარად ჟამ თქვენი კეთილის მოსურნე. დედანზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით დაწერილია- „და თქვენი ღრმად პატივის მცემელი ნიკოლოოზი“.

ბალმორალი. რეიტცი და იაკობსი, რომელნიც ლუკას მეიერს მოჰყვნენ, წავიდნენ ბურთა სარდლის ბეიერის სანახავად.

მადრიდი. დატუსაღებულია საეჭვო პირი, ეროვნებით ფრანცუზი, რომელიც ძალიან სცდილობდა სამეფო სასახლეში შესვლას.

გვატემალა. 5-ს და 6-ს აპრილს მომხდარმა მიწის ძვრამ იმსხვერპლა 200 კაცი.

ლონდონი. „ლაფფანის სააგენტო“ იუწყება, რომ პრეზიდენტ კრიუგერის მდივანმა—ბადნერმა—აუწყა ბურების წარმომადგენელს ამერიკაში პრისონს, რომ ლანგენბურგის არე-მარეში, სამხრეთ-აფრიკის გერმანელთა კოლონიისა და დასავლეთ აფრიკის პორტუგალიის ნაწილის შუა დაარსებული იქნება ახალი კოლონია ბურებისა, სახელად ნიუ-იორკი. ჰგონიათ, რომ, თუ შერიგება მოხდა ინგლისსა და ზოგიერთ ბურებს შორის, შეურიგებელი ბურები იქ დასახლდებიან.

ოდესა. რუსეთისა და ოსმალეთის უკანასკნელი ომის 25 წლის დღე ჰსურთ იდღესასწაულონ იმ ჯარებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ომში.

ლოძი. გრაფ ტოლს, რომელსაც მისცეს კონცესია ზერჟიდამ ლენჩიცში რკინის გზის გასაკეთებლად, არდგენს აქციონერულ საზოგადოებას.

პეტერბურგი. მიღებულია ცნობები ბლაგოვეშჩენსკიდამ და სევასტოპოლიდამ, რომ იქ პანაშვიდი გადაუხდიათ განსვენებული სიპიაგინის სულის მოსახსენებლად.

შემახა. ტფილისში გაემგზავრა მთავარმართებელი. ქალაქის მცხოვრებლებმა ჰსთხოვეს სესხი.

გარდაწყვეტილია მეჭიდროთ დასახლებული ნაწილი ქალაქის სხვა თავისუფალ ადგილებში გადაასახლონ.

კურსკი. უმაღლესის ბრძანებით, საგუბერნიო საერო მმართველობას გარდაეცა 25,0000 მან. სულით ავადმყოფებისათვის საავადმყოფოს დასამთავრებლად.

პეტერბურგი. „ნოვოსტი“ იუწყება, რომ პეტერგოფის საერო მმართველობამ ითხოვა რკინის გზის გაყვანა ორანიენბაუმიდამ ფინსკის ყურეს კიდეზე.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

Дозволено цензурою Тифлисъ, 12 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი ს. მ. წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა